№ 129
კვირა, 19 ივნისი 1894

1877—1894

№ 129
კვირა, 19 ივნისი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კოპეიკი.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**ი. ტერ-დავიდოვი,**

რომელსაც **სწავლა დამთავრებული** აქვს პირველის ხარისხით („СВОБОДНЫЙ ХУДОЖНИКЪ“) რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების მოსკოვის კონსერვატორიაში, პროფესორ პ. ა. პაბსტის ხელმძღვანელობით ასწავლის ფორტოპიანოს, როგორც თავისთან, ისე მსურველის სახლში.
ადრესი: ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 46.
(2—1373—2)

ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, 26 ივნისს, კვირას, დილის 10 საათზედ, მოხდება საგანგებო კრება

**ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა**

განსახილველი საგნები:
1, წარსულ სათეატრო წლის ანგარიში;
2, მმართველობის წევრების ამორჩევა, გასულ წევრების ნაცვლად და
3, საზოგადოების წევრების ამორჩევა. (3—1)

## ტფილისი, 19 ივნისს

—

დასავლეთ საქართველოდან დიდს გაჭირვებას იწერებიან იმის გამო, რომ სიმინდის ფასი ერთი ორად დაცემულა. წინად, როდესაც სავალდებულო გარდასახადი არ ედვა ჭირნახულის პატრონს, ამ გვარს შემთხვევას მაგდენად სამწუხარო მნიშვნელობა როდი ჰქონდა. მაგრამ დღეს, როდესაც სწორედ ამ მოსავლის იმედით თითოეული მეპატრონე დავალიანებულია და ნასესხები ფული დანიშნულს საათზე უნდა გადაუხადოს თუ კერძო მევალეს და თუ ბანკს, დღეს შეფერხებასა და ხელის შეშლას სულ სხვა ხასიათი აქვს. საკმარისია ერთის საათით დაგვიანება და მთელი ქონება ვალის ამღებისა იკარგება სამუდამოდ; კანონმა სიბრალული არ იცის და გუშინდელი ბედნიერი, მდიდარი ოჯახი დღეს სამოწყალოდ რჩება შარა გზაზე!

საჭირო იყო, რომ ასეთს საშინელს მოლოდინს რაიმე საშველი დასდებოდა და მეოჯახეთ, რომელთაც ყოფაცა აქვთ და ცხოვრებაც, ხელი მოეწყოთ საიდგანმე.

ამ გვარი საჭიროება ერთობ ჰღაღადებს დღეს და ისინი, ვინც ჩვენის საზოგადო საქმეების სათავეში ბრძანდებიან, არ ინებებენ ცუდს, ცოტას რომ დაუფიქრდნენ ქვეყნის ჭეშმარიტს განსაცდელს.

ამას გარდა, დახმარება ვალში ჩავარდნილ მეპატრონეთა მით უფრო ადვილია, რომ იმათ ამ წამსვე შეუძლიათ უზრუნველ ჰყონ სასიმინდეებში შენახულის ჭირნახულით ის სესხი, რომელიც დღეს სჭირიათ საქმეების გასაძღოლად და ხელის მოსაცვლელად.

როდესაც კაცს საქონელი აქვს, იმას ფულიც ადვილად ენდობა ამ საქონელში; მხოლოდ ამას ცოტა დახმარება, შრომა და საზოგადო კეთილმდგომარეობისათვის გულ-შემატკივრობა სჭირია.

წარმოსადგენია განა ასეთი მდგომარეობა, რომ თუ რამდენმამე პირშეთქმულმა ვაჭარმა მოინდომა ქვეყნის ნამუშავარის მუქთად ხელში ჩაგდება, მშრომელსა და მუშა ხალხს ამ ვაჭართა გარეშე სხვა აღარავითარი საღსარი და საშუალება არ მოენახებოდეს?

კიდევ ვიტყვით—ჭირნახულის მეპატრონეთა ამ სამწუხარო მდგომარეობიდან თავ-დასაღწევი ღონე, რასაკვირველია არსებობს და საჭიროა, რომ ეს ღონე მონახულ იყოს მალე.

ამ გვარი გასაჭირი მემამულეთათვის იქნება უკანასკნელად არის, რადგანაც მომავალის წლიდან შესაძლებელია დაარსდეს ჩვენში სახელმწიფო ელევატორებიცა *) და სამეურნეო კაპიტალიც. უეჭველია ერთიცა და მეორეც აღარ მიიყვანს ჭირნახულის პატრონთ იმ გაჭირვებამდე, რომ უფულობის გამო მთელის წლის მოსავალი მუქთად გადაჰყარონ სადმე, ან მამულს საუკუნოდ გამოეთხოვნენ. ამასთან შესაძლოა სოფლებში სასოფლო ბანკებიც დაარსდეს და მაშინ ეს დაწესებულებაც ხომ დიდს შემწეობას აღმოუჩენს მუშასა და მეპატრონეს.

მაგრამ მანამდის არის ძნელი სულის მიტანა, მანამდის არის შესაძლებელი უბედურება მრავალს შეემთხვეს და მამული ხელიდან გამოეცალოს; აი ამას უნდა შველა და ჭირისუფლობა.

მეველე

*) ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ ფინანსთა სამინისტრო დააარსებს რკინის გზების უმთავრეს მოსავლიან ადგილებზედ ელევატორებს, სადაც მიიღებენ ყოველ გვარს პირნახულსაო.

## დეპეშა

17 ივნისი

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრომ გარდასწყვიტა, რომ ქალაქის უძრავ მამულების დაფასების დროს შემოსავალი უნდა იანგარიშებოდეს 3-დგან $4^{0}/_{0}$-მდე, ხოლო სოფლისა $5^{0}/_{0}$-მდეო.

პროექტია შედგენილი, რომ რკინის გზების ლიანდაგებთან გაიმართოს 307 ხორბლის ბეღელი, რომელშიაც 80 მილლ. ფუთის შენახვა უნდა შეიძლებოდეს.

**შანხაი.** იაპონია უარს ამბობს, კორეიდგან ჯარებს არ გავიყვანო, ერთად დავიჭიროთ ჩვენის ჯარებით ეს ქვეყანაო; ჩინეთი არ დაეთანხმა ამ წინადადებაზედ და აძლიერებს თავის ზღვებისა და ხმელეთის ძალას.

**პარიზი.** ბურდომ გამოუცხადა დღეს დილით პერიეს, რომ ჩემის ცუდ ჯან-მრთელობისა გამო შესაძლებლად არ მიმაჩნია ვიკისრო ტვირთი კაბინეტის სათავეში ყოფნისაო. პერიეს თათბირი ჰქონდა დღეს დილით შალმელთან საქმეთა ვითარების შესახებ და შემდეგ დიუპუის მისცა წინადადება კაბინეტის შედგენისა; ხვალ დიუპუი კვლავ ჰნახავს პერიეს.

## ახალი ამბავი

—

*** უმართებულესის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს უკვე განუხილავს საპელაციო საქმე ნაფიცის ვექილის ა. ი. ყარაბეგოვისა, რომლითაც იგი უჩიოდა ს.-პეტერბურგის სამოსამართლო პალატას. პალატამ ბ-ნს ყარაბეგოვს ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრთა შესახებ წიგნაკის დაბეჭდვისათვის ორის თვით სამხედრო საპატიმროში დამწყვდევა გადაუწყვიტა. სენატს არ შეუწყნარებია ბ-ნ ყარაბეგოვის საჩივარ იდა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განაჩენი დაუმტკიცებია.

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორმა თავ. შარვაშიძემ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მდივნად სტ. ჰრელაშვილი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ფრიდე დაუბარებიათ დეპეშით პეტერბურგს, სადაც ამ დღეებში გაემგზავრება.

*** ამ დღეებში ტფილისის საპატიმროდგან განათავისუფლეს ფორალექსანდროვსკის უფროსი ექიმი ივ. იგ. ოდოხოვსკი, რომელსაც სამხედრო სისხლის სამართლომ ციმბირი გადაუწყვიტა, ხოლო ხელმწიფეს უპატიებია ეს სასჯელი და უბრძანებია მისი მარტო სამსახურიდგან გამორიცხვა.

*** ბ-ნს ნიკოლოოზ ივანეს ძეს

## ფელეტონი

**ლ. კოშუთი**

და

ერნი უნგრეთისანი

II

უსამართლობა იქნება, რომ უნგრეთის ერთა დღევანდელ დევნისათვის ბრალი კოშუთსა, ბატიანსა და მათს გმირს თანაშემწეებს დავსდოთ. თუ უნგრეთში სდევნიან ამ ჟამად რუმინებს, სჩაგრავენ სერბებს, დაბალ ლობედ მიაჩნიათ კროატები და არავითარს ყურადღებას არ აქცევენ მათს ნორჩს ლიტერატურას, რომელიც ძლივს 50—60 წელიწადია, რაც გაჩნდა, ეს არის მხოლოდ ლოღიკური შედეგი 1848 წლის შეცდომათა. ხოლო ეს შეცდომანი მოჰყვა არა ყომელსამე განსაკუთრებით უნგრეთში დაბადებულს მოძღვრებას, არამედ ნაყოფი იყო მაშინდელ ევროპის საპოლიტიკო ცხოვრებისა, მაშინდელ საყოველთაოდ აღიარებულ მოძღვრებათა, რომ სახელმწიფო დიდი საქმეა და მისი მნიშვნელობა ერთა ცხოვრებაში ყოვლად ვრცელია და განუზომელიო.

გაერთიანება და ცენტრალიზაცია იყო დევიზი სრულიად ევროპის დემოკრატიისა ამ საუკუნის პირველ ნახევარში. „La republique une et indivisible“ (ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკაო), ამბობდნენ იაკობინცები პირველ რევოლიუციის დროს და ესვე ჰქონდათ სანატრელად საფრანგეთის რევოლიუციონერებს. ბლავიცა და ბარბესიცა, რომელნიც ჰქადაგებდნენ ერის ბატონობასა და დიქტატურას, ლუიბლანიცა და ლედრიუ-როლლენიცა თავიანთ საზოგადო რეფორმითა და მტკიცედ შეკრულ, ცენტრალიზაციის წესზედ შებოჭილ რესპუბლიკით—ერთნაირად შორს იყვნენ, როგორც მაზრათა თვით-მმართველობასა, ისე ფედერალიზმზედა; მაძინიცა და მისნი მეგობარნიც ასევე შორს იყვნენ ამისთანებზედ, აგრედვე გერმანელი ლიბერალები და, ასე გასინჯეთ, სოციალისტებიც-კი, ის სოციალისტები, რომელთაც დააარსეს დღევანდელი სოციალ-დემოკრატების დასი: ჩვენის მოძღვრებითაო, ამბობდნენ ეს სოციალისტები 1847 წელს, სახელმწიფომ უნდა შემოიღოს, რომ მთელს გერმანიაში ყველგან ერთნაირის წესით მიწად-ჰმოქმედობდნენ და მეურნეობდნენო, უნდა შეჰქმნას ლაშქარი მუშაკთა, განსაკუთრებით ხვნა-თესვისათვისაო.

მაგრამ ყველა ეს კაცნი, თუმცა შემცდარს აზრებს ჰქადაგებდნენ ცენტრალიზაციისა და გაერთიანების შესახებ, მაინც წარმატების გზას ადგნენ და თვით ამ აზრების გავრცელებითა და განხორციელებით პროგრესის საქმეს ემსახურებოდნენ. საფრანგეთში ებრძოდნენ რესტავრაციის რეაქციას, იტალიაში გაერთიანება მოასწავებდა მტარვალობის შემუსვრას ბურბონებისა, ჰაბსბურგებისა და სამღვდელოებისას, რომელნიც ჩათესლებულიყვნენ ლეოპარდისა, მაძინისა და გარიბალდის ტურფა სამშობლოს სხვა-და-სხვა მხარესა და კუთხეში. „A united Italy! it is the very poetry of politics“! (გაერთიანება იტალიისა! ჭეშმარიტი პოეზიაა პოლიტიკაშიო!)—ამბობდა აღფრთოვანებით ბაირონი. მართლაცა და დრო ბრძოლისა იტალიის გაერთიანებისათვის—დასასრული ორმოცდა-ათიანთა და დასაწყისი სამოციანთა წელთა—პოეზიით აღსავსე ხანა იყო საზოგადოებრივის მოღვაწეობის აღყვავებისა და ფრთა-გაშლილობისა ევროპასა და ამერიკაში... იმ დროს მოსწრებულთ, რასაკვირველია, დღესაც დავიწყებული არ ექმნებათ ის კაცთ-მოყვარეობით სავსე გატაცება, რომელიც დამთავრდა დიდის ომიანობით შეერთებულ შტატებში ზანგთა განთავისუფლებისათვის... გერმანიაშიაც, საცა მეფობდა გარეწრობა და „პარტიკულიარიზმი“ ოცდა-ათზედ კიდევ მეტის სახელმწიფოსი და სამთავროსი საცა ჯერ კიდევ ბევრი იყო ნაშთი შუა-საუკუნეთა კანონმდებლობისა; იქაც სურვილი გაერთიანებისა ნიშანი იყო დიდის წინ-სვლისა და წარმატებისა. მთლად „ახალგაზდა გერმანია“ გუტცკოვისა ბოდენშტედტისა, ფრეინიგრატისა, ლასსალისა და სხვათა მოთავეობით ეტანებოდა და ჰნატრობდა გაერთიანებას, ცენტრალიზაციას. ეს იყო მიზეზი, რომ ბისმარკი ისე თანაუგრძნობდა ლასსალს, რომ ფრეინიგრატი უგალობდა დაქებით ამკობდა გერმანიის გამარჯვებას საფრანგეთზედ და რომ შტრაუსი ამტკიცებდა, სწორედ გერმანიისა

არჯევანიძეს შეუწირავს ბათუმის სასწავლებლის შენობისათვის ოცი მანეთი.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და მიიღეს 6 კლ. ატესტატი 8 ყმაწვილმა, რომელთა შორის: რუსი—5, სომეხი—2, ქართველი—1, ხოლო 7 კლ. დაამთავრეს სწავლა და მიიღეს მოწმობა, რომლის საშუალებითაც შეუძლიანთ უმაღლესს სასწავლებელში შესვლა, 14 ყმაწვილმა: 6 რუსმა, 4 სომეხმა, 1 ქართველმა, 2 გერმანელმა და 1 თათარმა. ქართველები მე-6 კლას. არის ოდიშელიძე ალექსანდრე, 19 წლ. და მე-7 კლ. უზნაძე პეტრე, 23 წლ.

*** ზეითალი პეტერბურგის საქონლის ბაკებისა, ბელევცოვი, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ჩამოვა ორის თვით ჩრდილო-კავკასიაში; რათა გაიცნოს, როგორ არის მოწყობილი საქმე ადგილობრივ საზეითალო-საპოლიციო ზედამხედველთა მიერ საქონლის ჭირის გავრცელების წინააღმდეგ.

*** გუშინ-წინ, 17 ივნისს, საბჭოს კრებაზედ, სხვათა შორის, არჩევანი იყო ობოლთა მჳარველ სასამართლოს თამჯდომარისა. კენჭი იყარეს: გ. ე. წერეთელმა და ნ. ო. ონანოვმა და აგრეთვე საბჭოს ხმოსნებმა დ. ზ. ყორღანოვმა და ნ. ბ. ხოსროევმა. პირველმა ამათგანმა მიიღო: 28 თ. და 28 შ., მეორემ—9 თ. და 47 შ., მესამე—35 თ. 20 შ., მეოთხე—26 თ. და 29 შ., ამ გვარად არჩეულ იქმნა ზემოხსენებულ თანამდებობაზედ დ. ზ. ყორღანოვი

*** ივნისის ექვსის ჟურნალ „მოამბის“ შინაარსი: „ვისი ბრალია?“ მოთხრობა დიმ. ერისთავისა, „ტარტარენ ტარასკონელი“ მოთხრობა ალფონს დოდესი, თარგმანი მ—ნისა (დასასრული), „ანდრე კორნელი“, რომანი პოლ. ბურჟესი, თარგმანი გრ. ყიფშიძისა (დასასრული), „გლახა“ ამბავი გუი-დე-მოპასანისა, თარგმანი დ. კარიჭაშვილისა, „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“ ისტორიული წერილები კ. ბოტტოსი, თარგმანი (დასასრული), „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ წერილი II, ნ. ჟორდანიასი (დასასრული), „ანტონ-მარტინი სლომშეკი“ თარგმანი სალომინაველისა, „ღვინის დაყენება“ IV ახალი ღვინის დამთავრება, მისი მოვლა და შენახვა, პროფესორი კ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება), „ახალი გზა-კვალი ქართული გრამმატიკის კვლევა-ძიებისა“ კ. დოდაშვილისა (დასასრული). ქრონიკა: „შინაური მიმოხილვა.—გამარჯვება ავალებს“... წლევანდელი ბანკის კრება.—ორ-გვარი ბრძოლა.—წესიერება ფარია.—ზნეობრივი დეზინფექცია.—ახალგაზდობის თაოსნობა.—ინტელიგენციის გმობა.—ჩოხა, თუ აზრი.—ბანკის დედა-აზრი და პროგრამა: ჭირნახულის გამრავლება, მელიორაცია, სინდიკატი, დეპო და სხვ. ნ. ნიკოლაძისა, „უცხოეთის მიმოხილვა.—ბულგარია“ ნ. ნიკოლაძისა, „განცხადებანი“.

*** ოზურგეთი: რაც დრო გადის, იმდენი მუშის ნაწარმოებს ფასი აკლდება ჩვენში. ჯერ არ მოსწრებია ადამიანს ასეთი აბრეშუმის სიიაფე. მართალია, აბრეშუმი ერთობ ბევრი გააკეთეს წელს გურიაში, მაგრამ, მგონია, ეს უკანასკნელი იყოს და მომავალის წლისათვის სრულიად თავს დაანებებენ, თუ ამ გვარად დაფასდა აბრეშუმი. ფუთი პარკი საუკეთესო აბრეშუმისა, საზღვარ-გარეთის თესლიდგან გაკეთებული, იყიდება 6 მანეთად ოზურგეთში. ფუთში 5 გირვანქა ამოხვეული აბრეშუმი ამოდის. ეს ისეთი მცირე ფასია, შრომასა და მუშაობას რომ თავი დავანებოთ. რაც დახარჯულა თესლში, და სხვაში, იმას ვერ ამოიღებენ და თუთის ფოთოლის ხარჯსაც ხომ ვერ გასწვდება, რადგან ესეც ფულით იყიდება ჩვენში. მომავალის თვის დამდეგს ჩვენს ოზურგეთში ბაზრობა იქნება.

ეს მესამე წელიწადია, რაც აქ ბაზრობა დავაარსეთ და ვნახოთ, იქნება აქ მოვიდნენ უცხო ქვეყნის ვაჭრები, თორემ ცუდად არის ჩვენი საქმე.

*** 17 ივნისს იარმუკაში ცხენის რკინის გზის ვაგონი დაეჯახა ელისაბედ ბერიძისას და მარჯვენა მხარი მოსტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 16 ივნისს საბატანიკო ქუჩაზედ მცხოვრებელი ქვრივი მელანია მალცოევისა თავისის 22 წლის ქალიშვილი და მარიამ კარაკოზოვისა თავის ქალიშვილითვე ქრწანისის მონასტრიდგან ეტლით მოდიოდნენ. მეეტლის გაუფრთხილებლობით თაიროვის ქარხნის გვერდზედ დაღმართზედ ეტლი გადაბრუნდა და მალცოევის ქალი ანანია ისე მძიმედ დაშავდა, რომ მაშინვე გარდაიცვალა. დანარჩენნიც მსუბუქად დაშავდნენ.

## კორესპონდენცია

**დაბა ლანჩხუთი.** (ოზურგეთის მაზრა). ჩვენს დაბაში მცხოვრებთ ვერაფერი წელი დაუდგათ: ივნისის ორს, დილის ექვს საათიდგან დაწყებული რვა საათამდე ქვენა ქარმა იქროლა მძივნვარედ და დიდი ზარალი მისცა ყველა მათ, ვინც მთის ძირას არ ცხოვრებდა. ბაღებში ნამყენები თუთისა და ნიგვზის ხეები ზოგი ძირიანად ამოგლიჯა და ზოგს ტოტები დაამტვრია. სახლებს ხომ სახურავი სულ გადააცალა; ვაზები მილეწ-მოლეწა, ასე რომ ჩვენთვის, მაინც ამ რამდენიმე ხნიდამ ცუდ ღვინის მოსავალს დაჩვეულთათვის,—მომავალი წლისთვის ღვინის იმედი აღარა გვაქვს... კიდევ კარგი, რომ ამ საშინელმა ქარმა ადამიანების სიცოცხლე არ შეიწირა!..

ავადმყოფობამ ხომ ეხლა იჩინა თავი!.. რა გვარი ავადმყოფობა არ გინდა, რომ ჩვენს დაბაში არ სუფევდეს: ყვავილ-ხველა, წითელა და სხვა... ციებ-ცხელება ხომ, ზაფხულობით მაინც, მუდმივი ჩვენი სტუმარი არის. რაც შეეხება მოსავალს—კარგი პირი არც სიმინდის მოსავალს უჩანს. სიმინდი, რომელიც შეადგენდა მცხოვრებთა სიმდიდრეს, ექვსი შაურიდგან ორ აბაზზე ვერ ასულა ფუთი. საშინელი ხელ-მოკლეობა არის და ამ ხელ მოკლეობის დროს მოაღწია გლეხთათვის ყოველ გვარმა გადასახადმა: სახელმწიფო ბეგარამ, მწერლისა და მასწავლებლის ჯამაგირმა და ბევრმა კიდევ სხვა წვრილმანმა გადასახადმა. საწყალი გლეხი, რახან სხვა ღონისძიება არსაიდგან მოეპოვებოდა, ძალა-უნებურად იძულებული შეიქნა, რომ სულ მცირე ფასად გაჰყიდოს სიმინდი და სავალდებულო მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ბევრმა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სიმინდით ვერ დააკმაყოფილებდა სახელმწიფო, საზოგადო და სოჯახო მოთხოვნილებას—ისევ ის არჩია: წავალ სადმე და რა სარგებლითაც იქნება, ვისესხებ ფულსო; მაგრამ ეს ამაო შეიქმნა მისათვის. ვისთანაც არ მივიდა—პასუხად ყველგან ის უთხრეს: „დიდის სიამოვნებით გასესხებდით, რომ თქვენზედ მეტად გაჭირვება ჩვენ არ გვადგესო“.

ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი მუშა ხალხი, სცდება მუშაობას, თავის საქმეს და იმას ანდომებს დროს, რომ ვალი ვალს, უბედურება უბედურებას მიუმატოს და რიგორმე ხელი მოინაცვლოს; მიაწყდებიან ხშირად იმ „სისხლის მწოვარ“ ადამიანებს, რომელთაც, მიუხედავად ღვთისა და სვინიდისისა, შემოღებული აქვთ მანეთში მანეთი, ანუ მეტი მოივონ, ისარგებლონ; ვერც სიმინდზე ფასის აწევა და ვერც სხვა გვარი გარემოება ამ გაჭირებულ ხალხს ვეღარ იხსნის ამ მსესხებელთ ბრჭყალებიდან და იქ, სადაც ჰფიქრობდა გლეხი—ხელს მოვინაცვლებო, გამოდის, რომ ხელსაც და ფეხსაც იჭრის და საწყლდება...

დ. ი.

**ს. მეჯვრისხევი,** 8 ივნისი. ს. მეჯვრის ხევში ყოველ წლივ სულის წმიდის მოფენის დღეს იცის ქართლში განთქმული დღეობა უსანეთობა. ყოველ ქართლურს დღეობებში უსანეთობას პირველი ადგილი ეჭირა აქამომდე. თითქმის ორი კვირა ყოველ ნაირი ვაჭრობაა ხოლმე გაჩაღებული. მოქეიფე ხალხი შაბათს მოდის და სამშაბათს ბრუნდება სახლში, ასე რომ დროს გატარება და ქეიფი სრულს სამს დღეს გასტანს ხოლმე.

ამ ბოლოს წლებში უსანეთობას ხასიათი შეეცვალა და პირველი ადგილი „გერისთობას“ დაუთმო. ქართლის თითქმის ყოველ კუთხიდგან მოდიოდა ხალხი სალოცავად და დროს გასატარებლად, კახეთიდგანაც მრავალი მოდიოდა ამ დღეობაში და იქაური თავად-აზნაურობა თავისს სიმხიარულეს უერთებდა ქართლელების სიმხიარულესა და დროს გატარებას. ეხლა-კი, ამ ბოლოს წლებში, ეს კავშირი გასწყდა და ხელი აიღეს ჩვენს დღეობაზედ. ამ დღეობამ, უწინ განთქმულმა ერის სიმრავლით, ვაჭრობით, ჭიდაობით, დროს გატარებით, დღეს დაჰკარგა უწინდელი დიდება და სახელი. ქართლის განთქმულმა მოჭიდავეებმა ადგილი დაუთმეს ბიჭბუჭებს; ქართულმა დროს გატარებამ: ლექსთა სიმღერამ, ლეკურმა, ფერხულმა და „ცანგალამ“ დაუთმო ადგილი ახალ მოდის ქალაქის გარყვნილს სიმღერებს „კეკელჯანს“ (და სხ. ამისთანებს), არღნებს და კინტოურს თამაშობას. ჩვენი ახალგაზდა გლეხ-კაცობა წითელი ხელსახოცებით ჩამოკონწიალებული უკან მისდევს არღანს და ზედ ახალმოდის სიმღერებს დასძახის.

თუმცა ხალხმა ძალიან იკლო, დღეობა ძალასა ჰკარგავს, მაგრამ მის მაგიერ ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ერთი ასად ჰმატულობს. წინა წლებში, როდესაც მეჯვრის-ხევს ბოქაული თხუთმეტის ჩაფრით არა ჰყავდა, როდესაც რამდენიმე სოფლის დარაჯი იყო რიგისა და წესის დამცველი, ამდენი ქურდობა და ძარცვა არა ყოფილა. თუმცა-კი დიდი ჩხუბი და კაცის კვლა არა მომხდარა-რა, მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზედ ოსები ნავარდობდნენ თავისუფლად, პირდაპირ ძალითართმევდნენ კაცს რასაც-კი მოასწრობდნენ, ასე, რომ კაცს ეგონებოდა, სოფელი უპატრონოა და იმიტომ თუა ასეთი ხშირი ქურდობაო. ადგილობრივმა ბოქაულმა ერთი ორჯელ ჩაიარა ხალხში თავისის ჩაფრებით, მაგრამ ასეთმა ჩასეირნებამ ნაყოფი ვერ მოიტანა. მისი სახლი მომჩივართა კაცებით არის სავსე, ყველა ქურდობაზე სჩივის. მრავალი ქურდობა მოხდა. სხვათა შორის ნ. თუღაშვილს მოჰპარეს ხუთ-თუმნიანი ხარი; ი. ლოლაძეს უღელი ხარი, კობახიძეს ცხენი და სხ. მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია. თხუთმეტი ოსი დახვედროდა გზაზედ 6 თიბათვეს ერთს გორელს მედროგეს, წაერთმიათ ორი ცხენი, გაეხადნათ ტანთსაცმელი და ისე ულმერთოდ ეცემნათ საბრალოსთვის, რომ ცალი მკლავი სრულიად უძრავად აქვს და თავ-პირი დამტვრეული. იმ დღესვე რის ვაი-ვაგლახით გავიდა ადგილობრივ ბოქაულთან და იჩივლა, ოსებმა დამღუპესო. ბევრი ოსიც დააპატიმრეს ადგილობრივ სატუსაღოში და ერთს ღამეს 20 ტუსაღი გამოპარულიყო იქიდამ.

არ ვიცი, რითი აიხსნება ასეთი არა ჩვეულებრივი, საშინელი ქურდობა. ნუ თუ ბოქაულს, 15 ჩაფარს და ორი ამოდენა სოფლის დარაჯს არ შეუძლიან სიმშვიდის დამყარება ამ ორ დღეს, გასაკვირველია! დაუდევრობით თუ აიხსნება ყველა ეს. მეჯვრისხევის ახალს მამასახლისს ეტყობოდა, რომ სიმშვიდის დამყარებას სცდილობდა, უჩაფრებოდ გარს უვლიდა მთელს სოფელს, მაგრამ ერთი კაცი რას გააწყობს, რაც

---

უფრო უპრიანია ელზასი და ლოტარინგიაო. და, წარმოიდგინეთ, რომ არც ერთი მათ შორის არა ჰღალატობდა თავის რწმენასა და აზრს და იმასა ჰქადაგობდა, რაც გულში ჰქონდა.

რა გასაკვირველია ამას შემდეგ, თუ კოშუთიცა, ბატიანიცა და სხვა მათი მეგობარნიც იმავე დედა-აზრს ადგენენ ერთიანობისას უნგრეთში და მათს ქვეყანაში დამკვიდრებულს ყოველს ერს ძალას ატანდნენ უნგარული ენა იხმარეთ სკოლაშიაც და საზოგადო საქმეებშიაცაო? ისინი ჰგონებდნენ, რომ სლოვიანები და რუმინები ძალიან უმეცარნი და დაქვეითებულნი არიან, საკუთარი ლიტერატურა არა აქვთ და ვერ მიხვდებიან იმ რეფორმებს, რომლის შემოღებასაც ჩვენა ვართ მოწადინებულნიო... ამ გმირებსა და მედგარ მებრძოლთ ეროვნებისა და ადამიანობისათვის ეშინოდათ, რომ ვაი თუ სერბნი, კროატები და რუმინები წინააღუდგნენ ჩვენს რეფორმებსაო. ხოლო მათი რეფორმები მართალია დიდებული საქმე იყო. ბატონ-ყმობის მოსპობიდამ დაწყებული საადმინისტრაციო რეფორმებამდე და სხვამ ყოველმა, რაც-კი მაშინ იმათ მოიქმედეს და განახორციელეს, სრულიად განაახლა საპოლიტიკო და საზოგადო ცხოვრება უნგარეთისა. მაგრამ ისინიც სიკვდილის შვილნი იყვნენ, ძენი მაშინდელის დროებისა და დროების შესაფერი შეცდომაც მოუვიდათ: ერთიანობა და ცენტრალიზაციაო, რეფორმა და ჰუმანიზმიო ყოვლად უმაღლესის ხარისხისა, და ხელ-ქვეითს ერს-კი, სერბებსა და რუმინებს ნება არ აქვთ თავიანთ დედა-ენის შემწეობით შეითვისონ ეგ საკაცთ-მოყვარეო და საკეთილო რეფორმებიო. კოშუთსა და მის თანამოღვაწეებზედ ითქმის სწორედ ის სიტყვები, რაც თვითონ კოშუთს უთქვამს ბისმარკის შესახებ. ერთმა ინგლისელმა ბისმარკს დიდებული „კაცი“ უწოდა. „თქვენი სიტყვაო, უთხრა ამაზედ კოშუთმა ინგლისელს, —სანახევროდ არის მართალი, ბისმარკი დიდებული, გერმანელია მხოლოდ. ბისმარკს არმც თუ თავისი თავი უყვარს, არამედ უყვარს თავისი სამშობლოც. ეს ნამდვილია. გარნა ეგ კაცი წმინდა გერმანულს ფიქრსა და გრძნობაზედ მაღლა ვერას დროს ვერ დადგება; ეს არის მიზეზი, რომ მაგის პოლიტიკაში ისე ბევრია კომბოსტოს მწნილი, უზრდელობა და თავ-აშვებული ღირფობა“. კოშუთსაც ძრიელ ეტყობოდა უნგარელობა, თუმცა ისევ თანა უგრძნობდა-კი თავის დროინდელ დიდებულს აზრებს. კოშუთს არ შეეძლო გაექვრიტნა, როგორც ვერ შეიძლო განჭვრეტა უფროს ერთმა მისმი თანა მედროვემ, თუ რა მოჰყვებოდა შემდეგ საცენტრალიზაციო წეს-წყობილებას, რა მოჰყვებოდა იმ გარემოებას, რომ უარ-ჰყოფდენ, გლეხ-კაცსა და მუშა-კაცს ნება არა აქვს შეითვისოს და იგემოს სიკეთე განათლება-წარმატებისა თავის დედა-ენის, სლავიანურისა და რომინულის შემწეობითა. თუ ბურჟუაზია და არისტოკრატია უმაღლეს სკოლებს ამთავრებს და ისე ვერ ითვისებს კიდევ უცხო ენებს, რომ თავისუფლად გამოიყენოს, როგორღა უნდა არსებობდნენ ისეთნი მომხრენი სიკეთისა, განათლებისა და, ასე გასინჯეთ, ისეთი უნგარელი ნაციონალისტებიც-კი, რომელნიც ნდომობენ, ჩვენის ხელქვეითის ერის უბირს ხალხს, მდაბიო მკვიდრს აღუკრძალოთ სკოლებში მისი დედა-ენაო?

აღყვავება ყოველის ქვეყნისა, გონებითა, კულტურითა და საპოლიტიკო ცხოვრებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენად კეთილდღეობს და ბედნიერობს, რაოდენად წარმატებულია გონებით სიმრავლე ერისა, ხალხისა, ხოლო ერს, ხალხის უმრავლესობას მხოლოდ თავისი დედა-ენა ეყურება. მხოლოდ თავის დედა-ენის შემწეობით შეიძლეს სერბებმა და კროატებმა იმ დიდებულის აზრების შეთვისება, რომელთა განხორციელებისათვის იბრძოდნენ კოშუთი, ბატიანი და სხვანი; მხოლოდ განახლებულ ასოთა შემწეობით, საერო ენის მეოხებით შეიძლეს რუმინებმა შექმნა ნორჩისა და სიცოცხლით სავსე ლიტერატურისა ელინესკოთი და გერეათი, შეჰქმნეს მეცნიერება ბაბეშითა და კალენდეროთი...

აი ამ რუმინების ყოვლად საინტერესო აღორძინების ამბავს შევუდგეთ ახლა, იმ გამაღლებულ აღორძინების ამბავს, რომელსაც მოჰყვა გამაღლებულივე გონებრივი და საპოლიტიკო წარმატება.

W. Vaziani

უნდა ეცადოს, თუ პოლიციის ძალაც ხელს არ უწყობს.

მამასახლისმა ხახუტაშვილმა სხვათა შორის მიაქცია ყურადღება მეწვრილმანეებს, რომელნიც სხვა-და-სხვა თვისგან შეზავებულს რაღაცა „კაპლებს" ჰყიდდნენ, სხვა-და-სხვა წამლებს და სხვათა შორის ქინა-ქინას. აქაურის მეაფთიაქეს თხოვნით მამასახლისმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და რამდენიმე ოქმიც შეადგინა. დაჰბეჭდა წამლები და გადასცა მეაფთიაქეს.

საზოგადოდ თუმცა მეჯვრის-ხევის საზოგადოება ძალიან დიდია, მრავალი თავად-აზნაურია აქ, მაგრამ წინმსვლელობის და კეთილდღეობის მხრივ იგი ბევრს სოფელს ჩამორჩება უკან. ამ სოფლის სიდიდეს და საზოგადოების უმრავლესობას არა აქვს შესაფერი წინმსვლელობა. ამისთანა დიდს სოფელში, როგორიც მეჯვრის-ხევია, ადვილად მოიკიდებდა მრავალი საქველმოქმედო დაწესებულება, რომ გამოჩნდეს ისეთი გულშემატკივარი და კეთილი კაცი, რომელიც მამობას გაუწევს ამ ქველმოქმედებას და ხალხსაც შეაყვარებს. მაგ., ამოდენა სოფელში ერთი წიგნთსაცავი არ არის და ერთი ქართული წიგნი არ მოიპოება, რომ კაცმა წაიკითხოს. თუმცა ზოგიერთი ყმაწვილები ამაზედ გვიპასუხებენ, რომ მკითხველი ძალიან ცოტა იქნებაო. მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს შესაწყნარებელი მიზეზი არ არის: თუ დღეს ხუთი კაცია მკითხველი, ხვალ ათი იქნება, ზეგ ოცი და შემდეგ მრავალი შეეჩვევა წიგნების კითხვას ერთმანეთის მიბაძვით მაინც. აქომომდე ამ საგნის შესახებ ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ შარშან მღვდელმა ილარიონ ხახუტაშვილმა, როდესაც ჯერ ისევ ერის კაცად ითვლებოდა (მასწავლებლად.), აღძრა ჩვენში ეს კითხვა და ბევრი თანამგრძნობიც მოიპოვა მეჯვრის-ხევის საზოგადოებაში. გაიმართა კიდეც ხელის მოწერა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ყველა საქმეს გულ-შემატკივარი, მეთაური უნდა. მთავრობისაგან ნებართვაც აიღეს და გამგებლად წიგნთ-საცავისა კ. გამრეკელიშვილი დანიშნეს. ამანაც რამდენიმე თუმანი შეჰკრიბა მეჯვრის-ხევში, მხოლოდ მალევე უკან დაუბრუნა ყველას: მე არ ძალ-მიძს ამ საქმეს გავუძღვე, რადგან საზოგადოება გულ-გრილად ეკიდებაო. დღეს ეს ფრიად საყურადღებო საგანი სრულიად მიტოვებულია და ყველასაგან უყურადღებოდ დარჩენილი. ძალიან კარგი იქნება და სამადლობელიც, თუ მ. ი. ხახუტაშვილი, პირველი აღმძვრელი ამ საქმისა მეჯვრის-ხევში, კიდევ მოაგონებს საზოგადოებას წიგნთ-საცავის დაარსების საჭიროებასა და იმის დიდს მნიშვნელობას.

მით უმეტეს ძალიან არ გაძნელდება მისი დაარსება ჩვენში, რომ მეჯვრის-ხევის საზოგადოებას უკვე ამ საქმისთვის ლ. თულაშვილთან მიბარებული აქვს, ხოლერობის დროიდამ დარჩენილი 95 მანეთი და ყველა თანახმაა ეს ფული წიგნთ-საცავს მოხმარდეს. მაშასადამე, საქმის დამწყობი და აღმძვრელიღაა საჭირო.

ამ დიდს ნაკლულევანებასთან მეჯვრის-ხევის დიდს საზოგადოებას მეორე ნაკლიცა აქვს. ეს ნაკლი უექიმობაა. თუმცა ს. წერეთელმა ეხლა ხან აფთიაქა დააარსა, მაგრამ მაინც აფთიაქი უექიმოდ ვერაფერს სარგებლობას მოუტანს ხალხს. უექიმობით, უპატრონობით მრავალი იხოცება, მაგრამ ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს. მეჯვრისხეველს რომ ექიმი უნდოდეს ავადმყოფისათვის, 18 ვერსტის მანძილზედ გორიდგან უნდა ამოიყვანოს, რომლის მოწვევაც უჯდება არა ნაკლებ 20 მანეთისა. მაშასადამე უმრავლესობა მოკლებულია წამლობას, რადგანაც აბა სად შეუძლიან ისეც გაწყალებულს და დაცემულს გლეხკაცობას თითო ექიმის ამოყვანაზე 20 მანთი გაიღოს.

იმის წყალობით, რომ ჩვენში ექიმი არ არის მეჯვრისხევი თითქმის ბუდეა მკითხავებისა და ყოველგვარ ცრუ მაწანწალა გაქნილ მკურნალებისა. რა ქნას მეჯვრის-ხეველმა გაჭირვების დროს, როდესაც შინ სულთმობრძავი ავადმყოფი უწევს, თუ ან მკითხავს არ მიჰმართა, ან ცრუ ექიმს მაშინ, როდესაც საბრალოსათვის სხვა ნამდვილი ექიმი არსად არის?.. სხვათა შორის არიან აქ ისეთი წრეს გადასულნი, უსინდისო ექიმებიც, რომელნიც თვისის სარგებლობის გულისათვის ფიცითა და დაბეჯითებით პირობას აძლევენ და ათათბირებენ ავადმყოფს, ორ დღეში მოვარჩენო. ავადმყოფი მართლადაც იმ ორ დღეში... კვდება.

დასასრულ მეჯვრის-ხევში ჭირნახულს კარგი პირი უჩანს, ვენახებსაც კარგად ასხია, თუ არამ ჩამოუარა; მხოლოდ მაისის გასულს გრიგალი იყო და იმან ცოტა ავნო ვაზს. პატარა მეჯვრის-ხევის ვენახებს უფრო კარგად ასხია, ვიდრე დიდ-მეჯვრის-ხევისას, რადგანაც ეს ვენახები შარშან დაისეტყვა და წელსაც გავლენა იქონია შარშანდელმა დასეტყვამ. ეხლა კარგი დარებია, მხოლოდ საღამოობით ცივა ხოლმე.

ა. მეჯუდელი

## დამაკვირდი

კისაც სჯერა, რომ ადამიანს ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც თითონ სურს, მას არასოდეს სიყვარული არ გამოუცდია.

მარიამ ეშენბახი

**

ერთობ დიდი მგრძნობელობა ნამდვილი უბედურებაა.

ვებერი

**

ფული ყველა კარის გამღებია, გარდა ცის კარისა.

## წერილი თელავიდგან

ჩვენი პაწია ქალაქი ჯერ ისევ წარსულს კვირას თელავის მცხოვრებელ მექავიძეს და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის ს. მიტროფანოვის შორის მომხდარ ამბის შესახებ ლაპარაკობს, მით უმეტესს, რომ გამომძიებელმა უკვე ხელი მიჰყო ამ საქმეს. ვაცნობებთ „ივერიის" მკითხველებს უფრო დაწვრილებით.

მაისის 30, საღამოს ცხრა საათზე, მთელი ჩვენი ბაღი, „ბულვარად" წოდებული, სავსე იყო მოსეირე საზოგადოებით. ერთს ალაგას იდგა მთელი ჯგუფი ყმაწვილ-კაცობისა, მათ შორის ს. მიტროფანოვი, თავ. იასონ მაყაშვილი და სხვანი. ამ დროს გამოიარა გიორგი მექავიძემაც და მიუახლოვდა ყმაწვილებს, ლაპარაკობდნენ და ხუმრობდნენ. მოლაპარაკეთა წინ ჩაიარა ერთმა მანდილოსანმა, რომლის შესახებაც საკმაოდ მაღალის ხმით ს. მიტროფანოვმა რაღაცა უწმაწური სიტყვა სთქვა. გ. მექავიძემ უცბად შეაჩერა და შესძახა: „არა გრცხვენიან, კაცო, მასწავლებელი ხარ, მაგალითი უნდა იყო შენის მოსწავლეებისაცა და ხალხისაცა, და შენ-კი ისე იქცევი, როგორც სულ არ შეგეფერებაო". მიტროფანოვმა სასაცილოდ აიგდო სათნოება მექავიძისა და სკამზედ მჯდომარეს ფეხში ჯოხი შემოჰკრა, ხუმრობით, თუ გამეტებით, ძნელი სათქმელია. ამ ჯოხის შემდეგ მექავიძემ არც აიღო, არც დაიღო და ერთი ლაზათიანი ლაწანი გაადინა.

აქ მიტროფანოვს ჩაეშველა თ. მაყაშვილი, გამოჰკრა ფეხი მექავიძეს, პირ-ქვე დასცა და ცემა დაუწყო. სხვებიც წაეხმარნენ, რადგან არ ესმოდათ, რად შემოჰკრა სილა მექავიძემაო, ზოგმა ჯოხის დარტყმა ვერ დაინახა. მიტროფანოვი სადღაც მიიჩქმალა. გ. მექავიძემ, როგორც იყო, წამოიწია, იძრო ხანჯალი და მაყაშვილისაკენ მიიწია, მაყაშვილიც ხანჯალ ამოშიშვლებული დახვდა. ასე იდგნენ კარგა ხანს ბრძოლად გამზადებულნი. შემდეგ ხალხი გაეხმაურა, დააშვიდეს და ჩააგებინეს ორივეს ხანჯალი. მექავიძეს თავ-პირზედ სისხლი ჩამოსდიოდა, რადგან ცემისაგან თავი ორს ალაგას გატეხილი ჰქონდა და სულ ერთიანად დალეწილი იყო.

დამშვიდებას აპირებდა ხალხი, რომ საიდგანღაც გამოტყვრა ს. მიტროფანოვი, მივარდა გ. მექავიძეს და ერთი მაგარი სილა შემოჰკრა. გონება დაბნეულმა გ. მექავიძემ წაიბარბაცა, მაგრამ მიტროფანოვმაესეც არ აკმარა, ამოიღო რევოლვერი და ესროლა. რევოლვერის სროლამ სულ ერთიანად გამოაბრუა მექავიძე, მაგრამ ისევე მალე მოვიდა გონზედ, იძრო ხანჯალი და გამოეკიდა მტერს, მაგრამ გვიანღა იყო, რადგან მიტროფანოვმა უკვე თავს უშველა, მით უმეტეს, რომ იმისი მომხრეები ისევე წაეშველნენ, სტაცეს ხელი მექავიძეს და წააქციეს.

მაშინვე სახლში წაიყვანეს მექავიძე, სადაც გაუსინჯეს ჭრილობა. ტყვია სწორედ პირის ნაპობში მოხვედროდა, ამოეგდებინებინა მარცხენა მხარეს ოთხი ქვემო და ერთი ზემო კბილი და ყბა დაეშავებინა. ტყვია კბილებში გაჰხიდვოდა და სისხლთან ერთად გამოაფურთხა დაჭრილმა.

იქ-მყოფი

10 ივნისი

## წერილი კავკავიდგან

6 ივნისს „წერა-კითხვის გამავრცელებელ" კავკავის სასწავლებელში გამართული იყო წლიური აქტი, რომელზედაც დაესწრნენ თერგის ოლქის უფროსის თანაშემწე შეპელიოვი, საერო სასწავლებლების დირექტორი გრუშევსკი, ქალაქის თავი სულემოვსკი და მრავალნი სხვა საპატიო კაცნი, მოსწავლეების მშობლები და კავკავის თითქმის მთელი ქართველობა. სასწავლებელის დარბაზი სასიამოვნოდ იყო მორთული ხვეულის ყვავილებითა და ვარდებით.

აქტი დაიწყო შუადღის თორმეტს საათზედ „მეუფეო ზეცათაო"-ს გალობით ქართულად, რომლის შემდეგ მასწავლებელმა ბოცვაძემ წაიკითხა ვრცელი ანგარიში სასწავლებლის მოქმედებისა. ანგარიშს წარუმძღვარა მოკლე საუბარი საზოგადოდ პირველ დაწყებით სასწავლებლების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ხალხი ჯერ კიდევ სიბნელით არის მოცული და გაუნათლებლობის გამო ბევრს განსაცდელში ვარდება, როგორც ნივთიერად, აგრეთვე ზნეობრივადაც. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ სასწავლებელში ყოფილა 69 მოწაფე; წელს დაუმთავრებია სწავლა 7 მოწ. და მიუღიათ საშეღავათო მოწმობა სამხედრო ბეგარისა. ერთი მათგანი წელს გიმნაზიის პირველ კლასში გადასულა; „წერაკითხვის საზოგადოების" სასწავლებლს აქვს საკუთარი შენობა, რომელიც, როგორც ანგარიშიდამ სჩანს 7000 მ. დამჯდარა. სასწავლებლის შენობა ყოვლის მხრივ მშვენიერია, ვრცელი ეზო აქვს, ბაღი და ბოსტანი, რომელიც წელსვე გაუშენებია მასწავლებელს მოწაფეების დახმარებით. ბაღი სამი თუ ოთხი თვეა, რაც გაუშენებიათ, მაგრამ ასე გეგონებათ ორის წლის ნამუშევარი იყოსო. ანგარიშის შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს რამდენიმე ლექსი ქართულად და რუსულად და იგალობეს აგრეთვე რამდენიმე ქართულ-რუსული საგალობელი, მოგვყავს აქავე პროგრამა:

„მაისის ღამე"—შესრულდა ხორომ „Манифестъ", ლექსი წაიკითხა გახოკიძემ „მელა და ვირი, ლექსი წაიკითხა—ახალშენიშვილმა, იგალობა „Полоса-ль моя, палосынька", ხორომ, „ყვავი და მელა", წაიკითხა—აბაშვილმა; „Мышь и крыса" წაიკითხა ფირადიშვილმა, „ნანა" შესრულდა ხორომ, „Молись дитя„ ლერმანტ. ლექსი წაიკითხა აბაშვილმა, «სუმბული და მწირი, წაიკითხეს სხირტლაძემ და ცობოლოშვილმა, „Пѣсня льется" იგალობა ხორომ, „ღამურა" წაიკითხა როინაშვილმა, „Пѣсня земледѣльца", წაიკით. გოგოლაურმა, „მერცხალი" იგალობა ხორომ, „Пойманная птичка" წაიკითხა მრევლიშვილისამ და კუმსიშვილმა, „Лѣсъ зеленый", იგალობა ხორომ, „დათვის წვეულება", წაიკითხა თოფაძემ, «Котъ и поваръ» წაიკითხა ბოძიაშვილმა, „Птичка въ клѣткѣ", იგალობა ხორომ, „სამშობლო ხევსურისა", წაიკითხა მაჩაბელმა და დასასრულ, „Боже Царя храни" იგალობა ხორომ.

როგორც ლექსების კითხვა, აგრეთვე სიმღერებიც ძალიან მოეწონათ დამსწრე საზოგადოებას. მგალობლებსა და მკითხველებს ხანგრძლივის ტაშის ცემით და „ვაშას" ძახილით აჯილდოვებდნენ. შემდეგ მასწავლებელმა კნიაჟნა ჯორჯაძისამ წაიკითხა სია შემდეგ განყოფილებაში გადასულ მოწაფეებისა, რომლის შემდეგ რამდენიმე მოსწავლე იქვე დაასაჩუქრებულ იქმნა რუსულ-ქართულის წიგნებით.

აქტის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ დაათვალიერა მოწაფეების ნაწერები, ქალების ნაკერ-ნაქსოვები და ყველამ მოიწონა. იმისდა მიუხედავად, რომ მოსწავლე ქალებს ხელთსაქმის შესწავლა მხოლოდ სამი თვეა რაც დაუწყიათ, წლის დამლევამდე მაინც დაემზადებინათ სამი მშვენივრად მოქარგული ბალიში, ორი მუთაქა და სხვა წვრილ-წვრილი ნივთები მასწავლებლის კნიაჟნა თამარა ჯორჯაძის ხელმძღვანელობით. საზოგადოდ დღეს კავკავის ქართულმა სასწავლებელმა ყველაზედ სასიამოვნოდ იმოქმედა, მხოლოდ ნივთიერი მდგომარეობა სასწავლებლისა, როგორც ანგარიშში ამბობდა ბ-ნი ბოცვაძე, ჯერ უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა, სასწავლებელს ცოტაოდენი ვალიცა ჰქონია და ამიტომ, რადგანაც კავკავის ქართული სასწავლებელი საქველმოქმედო დაწესებულებაა ღარიბ-ღატაკის ყმაწვილების აღსაზრდელად, მისი წარმატება დამოკიდებულია იმ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებისაგან, რომელსაც აღმოუჩენს ქართველი საზოგადოება ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას.

დამსწრე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Новое Время" ამბობს, რომ „Гражданинъ"-ს განუზრახავს ღორთა შორის წესიერება შემოიღოს... დიაღ, სწორედ ღორთა შორის. დასამტკიცებლად იმისა, რომ ეს ხუმრობა არ არის მოგვყავს ერთი ადგილი ამ გაზეთის გრძელის წერილიდგან.

„ღორებს, ამბობს თავადის მეშჩერსკის გაზეთი,—პირველად უნდა შთავაგონოთ წესიერება, უნდა შევკრიბოთ ისინი ჯოგად და დავუნიშნოთ მეჯოგე, რომლის მნიშვნელობა ხალხში უნდა ფასდებოდეს".

დასასრულ თავისის ღორის შესახებ დაწერილის წერილისა თავადი მეშჩერსკი ბრძანებს, რომ „სასარგებლოდ მიმაჩნია შთამომავლობისათვის მუშაობაო" ბედნიერია ჭეშმარიტად „Гражданинъ"-„იო, დასძენს Нов. Вр., ყველგან შთამომავლობა ჰყოლიაო—"?

## უცხოეთი

**ბულგარია.** პარიზის გაზეთ „Gaulois"-ის თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია რკინის გზაზედ, როდესაც პრინცი სოფიიდგან ფილიპოპოლში მიდიოდა თურმე. პირველი სალაპარაკო საგანი, რასაკვირველია, სტამბულოვი ყოფილა, რომელმაც „თავისის ნებით დაანება მთავარ-მინისტრობას თავი და არა იმიტომ, რომ ვითომ წვრილმან საქმეთა გამო უთანხმოება მოსვლოდეს პრინცთანაო". პრინცს ფერდინანდს უთქვამს, რომ დიდად ვაფასებ სტამბულოვის დაუვიწყარს სამსახურს, მაგრამ, ჩემის აზრით, სტამბულოვს ამ ბოლოს დროს აზრები დაებნა, დაჰკარგა ის ზომიერება, რომელიც დედა-ბოძი და საფუძველი უნდა იყოს ყოველის წესიერად დადგენილის პოლიტიკისა. ხშირად განვახსენებდი ხოლმე საკონსტიტუციო მოსაზრებას, ვაფრთხილებდი, დიდად სასტიკად და გადაჭარბებით ნუ მოიქცევი-მეთქი. სტამბულოვის მთავრობას უფრო მალე მოელებოდა ბოლო, მე რომ არა ვყოფილიყავ; თავისივე ბრალია, რომ გადადგომას იყო იძულებული, და ამით გამოწვეული თავისუფლად ამოსუნთქვა, საერთო სიხარული აშკარად ამტკიცებს, რომ მე საზოგადო სურვილის თანახმად ვმოქმედობდი. ყოველგან თითქოს გადაირლვა—ის

შავი ზღვარი, რომელიც ბულგარიასა ჰქონდა გადაფარებული. 20,000-ზედ მეტი დეპეშა მომივიდა, რომლებშიაც მწერდნენ, რომ ხელ-ახლად განათავისუფლე ბოლგარიაო. იძულებული ვიყავ მფარველობა გამეწია სტამბულოვისათვის იმის გადადგომის შესახებ და დამეცვა გულ-ამღვრეულ ერისაგან. მე არ მომწონს, როდესაც შურს უგებენ ხოლმე ისეც დაცემულს ადამიანს. ხოლო მე ჩემი საკონსტიტუციო მოვალეობა შევასრულე და ეხლა ის გზა, რომელზედაც ვივლი, ადრევე აღნიშნულია: სტოილოვის კაბინეტი ძლიერი, მომრიგებელი კაბინეტი იქნება და არ დაივიწყებს, რომ ჩვენ თავისუფალს მიწა-წყალზედ ვიმყოფებით. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, ჩვენ არ ვარღვევთ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებას; მე ხალიფის სახელითა ვმთავრობ და მისი ერთგულიცა ვარ; სხვა დიდს სახელმწიფოთა შორის-კი ჩვენ არავის ვარჩევთ და უპირატესობას არავის ვაძლევთ. ვისაც ჰგონია, რომ ვითომ ვენის კაბინეტისაკენ მეჭიროს გაფაციცებით და მორჩილად ყური, იმათ ვუპასუხებ, რომ საქმედგან ეგ სრულიადაც არა სჩანს“.— «რუსეთიო?» უკითხავს კორესპონდენტს. „ნუ თუ უნდა დავივიწყოთ ის მადლობა გრძნობა, რომელიც ჩვენ გვიღვივის რუსეთის მიმართ. ვსცდილობთ ღრმა პატივისცემით მოვეპყრათ რუსეთს. ჩემი პოლიტიკა ის არის, რომ ბულგარია ბულგართათვის უნდა იყოს.“

—

**იტალია.** ანარქისტი პაოლო ლეგა, რომელმაც ამასწინად განიზრახა კრისპის მოკვლა, იმავე განდიდების სენით არის ავადმყოფი, როგორითაც უმეტესობა იმის თანამოაზრეთა.

რევოლვერის ხმაზედ ხალხი შეგროვდა და რომ შეიტყო, რაც მომხდარიყო ცემა დაუწყეს ლეგას, ლეგამ სთხოვა მაპატიეთო, და გულიც-კი შეუწუხდა თურმე, მაგრამ როცა პოლიციაში მიიყვანეს, ამაყი შეხედულება მიიღო და ურცხვად დაუწო ლაპარაკი პოლიციის უფროსს სირონს. განაცხადა, რომ მე გადავწყვიტე კრისპის მოკვლა, რადგან კრისპი მეთაურია იმ საზოგადოებისა, რომელიც ბოგანო და უმიწაწყლო ხალხს სჩაგრავს და იმათის ნამუშავრით სარგებლობსო. ამასთან დასძინა: „ვწუხვარ, რომ ავაცდინე რევოლვერი და უფრო მეტად-კი იმიტომ მომდის გული, რომ ჩვენში სიკვდილით დასჯა აკრძალულია, რის გამოც არ ძალმიძს ანრახიისათვის თავი დავსდოო.

—

რა დღესაც კრისპის მოკვლა განიზრახეს, იმის წინა დღით შეურაცხყოფა მიაყენეს თურმე ნეაპოლში კრისპის მეუღლეს.

ქუჩის მოწანწალა ბიჭების ბრბომ, როცა იცნო კრისპის მეუღლე, დაუწყო ლანძღვა და ბოლოს კენჭების სროლა. როდესაც პოლიციის მოხელენი გამოესარჩლნენ კრისპის მეუღლეს, პოლიციელთა და ქუჩის ბიჭებთ შორის კრივი მოხდა და რიმდენიმე რევოლვერიც გაისროლეს. ბოლოს 2,000-მდე კაცი შეგროვდა და პოლიცია იძულებული შეიქნა განზე გამდგარიყო. შემდეგში ორი რაზმი ჯარი მოეშველა პოლიციას, ამათ გარეკეს ხალხი და მრავალი დააპატიმრეს კიდეც.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

რუსეთის ერთის ბერძნის წყალობით, რომელმაც ბერძნებს დიდი ქონება შესწირა, საბერძნეთს თავის დროზედ ახალი უნივერსიტეტი ექმნება კორფუში. 40 წელ. მეტია, რაც რუსეთში გარდაიცვალა ერთი მდიდარი ბერძენი, ივანე დომბოლი, რომელსაც დარჩა ქონება 285,744 მანეთისა. რადგან განსვენებული ამ ფულს არა სთვლიდა საკმარისად უნივერსიტეტის დასაარსებლად და იმის უზრუნველ საყოფელად, ამიტომ დასტოვა ანდერძი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ეს ფული შენახულიყო რუსეთის სახელმწიფო ბანკში ხელ-უხლებლად 1906 წ., როდესაც თავნი და სარგებელი სულ შეადგენს ექვს მილიონ ფრანკს. თანხმად შემომწირველის სურვილისა, მეოთხედი ამ ფულისა მოხმარდება უნივერსიტეტის გამართვას და დანარჩენის ფულის სარგებლით-კი შეინახება ეს დაწესებულება.

**

როგორც თითოეულს ფერს, აგრეთვე ძვირფასს თვლებსაც თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს. ლაჟვარდი ნიშნავს სამართლიანობას, სულგრძელობას და სიმშვენიერეს; ზურმუხტი — მოწყალებას, იმედსა და სიხარულს; ბრილიანტი — სიმშვიდეს განრისხებულ გულისას და ცოლ-ქმართა ერთგულების განმტკიცებას; ზეჟმენდი — სათნოებასა და სიმშვიდეს; ლალი ზაფრის გადაყრას; პატიოსანი თვალი (ამეტისტი) — აფხიზლებს კაცის გონებას. ფირუზი ხომ იგივეა ძვირფას თვალთა შორისა, რაც თაგვის-ყურა ყვავილთა შორის.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

თქვენის გაზეთის მე-136 №-რის ახალ ამბებში დაბეჭდილია, ვითომც ხარაგაულში, დუქანში ღვინის სმის დროს ნხუბი მოგვსვლოდეს და მძამედ დავეჭრეთ ხანჯლით. ვაცხადებ, რომ ეს სულ ტყუილია — არაფერი საჩხუბარი გიგო კიკნაძეს ჩემთან არ აქვს და არცა ჰქონია.

სპირიდონ კიკნაძე

### პეტერბურგის ბირჟა, 17 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,49 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149¼ | 150½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | — , |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | 101½ | — ,, |
| 5%. . . . . . . | 100½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¾ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—7)

---




ამხანაგობა
„ჯანმრთელობისა“
სუნელოვანი
ხიმიკური-წმინდა
**ბრინჯის უმარილი**
**(პუდრა).**

ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.
ნარდად შეიძლება ყიდვა:
ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.
**ს.-პეტერბურგი.** ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.
**მოსკოვი,** ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.
**ვარშავა,** „ნოვი სვეტში“, 37.

---




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

---

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

„**იაკორი**“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—17)

---

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს გადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზავნებათ.

(40—1061—7)

---

# დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად. 32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც იპყრობს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, უხსნის მასწავლებელს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელიებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—2)